**მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური**

## დემონტაჟის სანებართვო მოწმობა

## ნებართვა №279

ნებართვის გაცემის თარიღი 19 აგვისტო 2015 წელი

ნებართვა ძალაშია 19 დეკემბერი 2015 წელი

დამკვეთი სსიპ ქალაქ მარნეულის №1 საჯარო სკოლა (მოსარგებლე)
(დასახელება)

ქალაქი მარნეული, აზი ასლანოვის ქუჩა №2
(მისამართი)

მშენებლობის ობიექტი ავარიული შენობების (შენობა №02/1, №01/2) დემონტაჟი,
(დასახელება, ფუნქციური დანიშნულება)

ქალაქი მარნეული, აზი ასლანოვის ქუჩა №2
(მისამართი, ადგილმდებარეობა)

83.02.21.459
(მიწის ნაკვეთის სარეესტრო ნომერი)

პროექტი შეთანხმებულია მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური
(შეთანხმებული ორგანიზაციის დასახელება და მისამართი)

ნებართვა გაიცა მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა
(შეთანხმებული გამცემი ორგანოს დასახელება და მისამართი)

ბრძანება № 1041 14 აგვისტო 2015 წ.

<u>სანებართვო პირობები</u>

ობიექტის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახურის მიერ სადემონტაჟო შენობის დათვალიერება და სათანადო ოქმების გაფორმება შემდეგ ეტაპებზე: ტერიტორიის მომზადება სადემონტაჟო სამუშაოებისათვის. მიშენებული შენობის დემონტაჟი. ცალკე მდგომი შენობის დემონტაჟი/არსებული ღობის დემონტაჟი. სამშენებლო ნარჩენების გატანა მოედნიდან/ ტერიტორიის დასუფთავება.

სამსახურის უფროსი ლერი ფანგანი

საქართველო

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა

GEORGIA

ADMINISTRATIVE BODY OF MARNEULI MUNICIPALITY


# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№1041

ქ. მარნეული 14 აგვისტო 2015 წელი

## არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ავარიული შენობების, შენობა №02/1 და შენობა №01/2-ის დემონტაჟის საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმების და ნებართვის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დ.თ) და ე.ე) ქვეპუნქტების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-3 მუხლის მე-14 პუნქტის, 39-ე, 54-ე, 87-ე, 88-ე მუხლების საფუძველზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის ლერი ფანგანის (რეგისტრაცია 13.08.2015 წელი №1922-03) მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შეთანხმდეს ქ. მარნეულის №1 საჯარო სკოლის დირექტორის ქეთევან მერაბიშვილის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფოს კუთვნილ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ავარიული შენობების, შენობა №02/1 და შენობა №01/2-ის დემონტაჟის საპროექტო დოკუმენტაცია შემდეგი მონაცემებით:

ა) მოსარგებლე – სსიპ ქალაქ მარნეულის №1 საჯარო სკოლა;

ბ) მესაკუთრე - სახელმწიფო;

გ) ობიექტის დანიშნულება - ავარიული შენობების, შენობა №02/1 და შენობა №01/2-ის დემონტაჟი;

დ) სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი – 2757.00კვ/მ (უძრავი ქონების სარ. №830221459);

ე) სადემონტაჟო შენობა - №02/1, განაშენიანების ფართი 81,84 კვ/მ;

ვ) სადემონტაჟო შენობა - №01/2, განაშენიანების ფართი 172,80 კვ/მ, მასთან მიშენებული შენობა განაშენიანების ფართი 252,20 კვ/მ;

ზ) ობიექტის მისამართი – ქ. მარნეული, აზი ასლანოვის ქუჩა №2;

თ) მოსარგებლე – ქ. მარნეული, აზი ასლანოვის ქუჩა №2;

2. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსს ლერი ფანგანს გასცეს მშენებლობის სანებართვო მოწმობა 4 (ოთხი) კალენდარული თვის მოქმედების ვადით მშენებლობის პროცესის შემდეგი ეტაპების დასრულების სათანადო ოქმების შედგენის პირობებით:

ა) ტერიტორიის მომზადება სადემონტაჟო სამუშაოებისათვის;

ბ) მიშენებული შენობის დემონტაჟი;

გ) ცალკე მდგომი შენობის დემონტაჟი / არსებული ღობის დემონტაჟი;

დ) სამშენებლო ნარჩენების გატანა მოედნიდან / ტერიტორიის დასუფთავება;

გათვალისწინებული და დაცული იქნას საქართველოს მთავრობის №57 დადგენილების 54-ე, 84-ე და 85-ე მუხლებით აღნიშნული მშენებლობის პროცესის უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნები

სამშენებლო მოედანი და მშენებლობის პროცესის უსაფრთხოება''.
სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთმა სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებ
დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლიარი და პასუხისმგებელი პირის ხელმოწე
შემდეგი დოკუმენტაცია;
მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
საინჟინრო კომუნიკაციების არსებობის შემთხვევაში, დაცულ იქნეს სამშენებლო ნორმ
მათი არსებობის შემთხვევაში ცნობა შესაბამისი სამსახურიდან.

3. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურს მოქმ
კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს წინამდებარე ბრძან
დაინტერესებული მხარისათვის ოფიციალური გაცნობა.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებ
პირველ მოადგილეს ზაური ტაბატაძეს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულ
მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N
მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

დანართი: მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა მშენებლობ სამსახურის უფროსის ლერი ფანგანის (რეგისტრაცია 13.08.2015 წელი №1922-03) მოხსენებითი ბარათი.

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი